ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4530955

ნომერი: AR1682945

თარიღი : 22.05.2019

გაცემის თარიღი : 05.06.2019

გაცნობის თარიღი : 06.06.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეტროს სადგურ , "დიდუბე"-ს ქვედა გასასვლელი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მაია გოგიჩაიშვილი პ/ნ 01001025635
- საქართველო, ქალაქი თბილისი, მუხიანის დასახლება, I მიკრო/რაიონი, კორპუსი 10, ბინა 138

ორგანიზაცია:

- შპს ნიგე კოდი: 201953966

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტები
  - მრავალ ადგილიანი ავტოსადგომი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის

გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

№AR1682945 ელექტრონული განცხადებით დაყენებული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისშესახებ.

საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, №01.13.03.051.014 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი დარეგისტრირებულია მშენებლობისა და შემოღობვის უფლების გარეშე, ხოლო მოქალაქეთათვის თავისუფალი გადაადგილების ტერიტორია 1468 კვ.მ. ფართობი დაიტვირთულია სერვიტუტით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიწის ნაკვეთზე დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა. შესაბამისად, სამსახური მოკლებულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესაძლებლობას.
ამასთან, აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს ქალაქისთვის მნიშვნელოვან სატრანსპორტო კვანძს.
,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის №10-14 დადგენილებით დამტკიცებული დებულების თანახმად, დედაქალაქში ტრანსპორტის განვითარების პოლიტიკისა და მიდგომების განსაზღვრა და შესაბამისი პოლიტიკის გატარების უზრუნველყოფა, ასევე, მშენებლობის ნებართვის დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურული პროექტების შეთანხმებისას (გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის პროექტისა) შესაბამისი რეკომენდაციის მომზადება წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ფუნქციას.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 03/06/2019 წლის №16-01191543861 წერილის თანახმად, მ/ს დიდუბის მიმდებარე ტერიტორია არის ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძი. მისი მიმდებარე ტერიტორია უნდა დაიგეგმოს ერთიანი ხედვისა და წერილში მითითებული პრინციპების მიხედვით. სქემის ოპტიმიზაციის კვლევის დასრულებამდე და შესაბამისი დაგეგმვითი სამუშაოების ჩატარებამდე, ტრანსპორტის საქალაქო სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მიზანშეწონილად არ მიიჩნევს №01.13.03.051.014 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის პოზიციისა და ტერიტორიის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, სამსახურს არ მიაჩნია მიზანშეწონილად №01.13.03.051.014 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება (იხ. დანართი).
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 22/05/2019 წლის AR1682945 განცხადება ვერ დაკმაყოფილება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.